



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 24-2422210197
თარიღი: 29/07/2022

ადრესატი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: გამსახურდიას 45

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიგა ფარულავას

ბატონო გიგა,

საქართველოს კანონის საბიუჯეტო კოდექსი-ს 85-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, წარმოგიდგინებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მიმოხილვას ნაზარდი ჯამით.

დანართი 48 ფურცელი

პატივისცემით,

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



განმარტებითი ბარათი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის

ნაზარდი ჯამით შესრულების მიმოხილვის თაობაზე

ცნობილია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის N22 დადგენილებით და ის განისაზღვრა 47200.0 ათასი ლარის ოდენობით.

დამტკიცების შემდეგ, მიმდინარე საფინანსო წლის განვლილ 6 თვეში, საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ადგილობრივ ბიუჯეტში საკრებულოს ნორმატიული სამართლებრივი აქტით შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილება, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით გამოყოფილი ფინანსური რესურსების, 2022 საფინანსო წლის დასაწყისისათვის ნაშთის სახით არსებული ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და ვალდებულებებით დაუტვირთავი თავისუფალი თანხების ბიუჯეტში ასახვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტების შედეგად 2022 წლის 1 ივლისისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობამ მთლიანობაში შეადგინა 58398.5 ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი სახსრებით 49318.6 ათასი ლარი.

2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 6 თვის ნაზარდი ჯამით შესრულების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ფაქტიური მაჩვენებლების მიხედვით სახეზეა მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგები, რომლის რაოდენობრივი და სინთეზური პარამეტრები იძლევა შემდეგ სურათს:

მიმდინარე წლის 6 თვეში ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა-პროგნოზი განსაზღვრული იყო 29743.0 ათასი ლარით, საკასო (ფაქტიური) შესრულებამ შეადგინა 30341.7 ათასი ლარი, ანუ 598.7 ათასი ლარით მეტი. აღნიშნულ პერიოდში შემოსავლების გეგმა-პროგნოზი შეადგენდა 29663.7 ათას ლარს, ფაქტიური მაჩვენებელი კი უტოლდება 30196.9 ათას ლარს, რაც გეგმა-პროგნოზთან შედარებით 533.2 ათასი ლარით მეტია.

ბიუჯეტის შემოსავლების შესრულება ცალკეული სახეების მიხედვით ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

ა) გადასახადები (დღგ, ქონების გადასახადი) პროგნოზირებული იყო 19116.2 ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა 21873.5 ათასი ლარი, ანუ 2757.3 ათასი ლარით მეტი.

გადასახადების საერთო თანხიდან ბიუჯეტში შემოსულია:

- დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) – 15605.1 ათასი ლარი, პროგნოზირებულ მაჩვენებელზე 186.7 ათასი ლარით მეტი;
- ქონების გადასახადი - 6268.4 ათასი ლარი, ანუ პროგნოზით გათვალისწინებულზე 2570.6 ათასი ლარით მეტი;

ბ) ბიუჯეტის სხვა შემოსავლები (შემოსავლები საკუთრებიდან, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, რენტა, ჯარიმები, სანქციები და საურავები, არაკლასიფიცირებული ტრანსფერები)

პროგნოზირებული იყო 2610.0 ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა 2803.2 ათასი ლარი ანუ პროგნოზირებულ მაჩვენებელზე 193.2 ათასი ლარით მეტი.

სხვა შემოსავლებიდან განვლილ 6 თვეში, ბიუჯეტში მისი კონკრეტული სახეების მიხედვით შემოსულია:

- 252.8 ათასი ლარი - შემოსავლები საკუთრებიდან;
- 200.7 ათასი ლარი რენტა (მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის);
- 98.5 ათასი ლარი - შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან;
- 1770.2 ათასი ლარი - საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია (აქედან: ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 1717.0 ათასი ლარი, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი 113.3 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1340.4 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 262.5 ათასი ლარი; შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან 53.2 ათასი ლარი).
- 752.2 ათასი ლარი ჯარიმები, სანქციები და საურავები, მათ შორის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო - 615.4 ათასი ლარი; შემოსავლები ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო 50.9 ათასი ლარი; შემოსავლები სხვა დანარჩენი ჯარიმებიდან 85.9 ათასი ლარი; ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 28.0 ათასი ლარი, მათ შორის შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 25.4 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან (მუნიციპალური ქონების პრივატიზება) შემოსავალი, ამ სფეროსადმი ბიზნესმენტა მიერ წლის I და II კვარტლებში ნაკლებად დაინტერესების წინა წლების პრაქტიკიდან გამომდინარე 2022 წლის 6 თვეში პროგნოზირებული იყო 79.3 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა შესრულებამ კი შეადგინა 144.8 ათასი ლარი, მათ შორის არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან 47.0 ათასი ლარი, მიწის პრივატიზებიდან 97.8 ათასი ლარი.

გრანტების გამოყოფა განვლილ 6 თვეში პროგნოზით გათვალისწინებული იყო 7937.5 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურად მიღებულია 5520.2 ათასი ლარი. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლის შეუსრულებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კაპიტალური ტრანსფერი, ნაცვლად პროგნოზით გათვალისწინებული 5869.5 ათასი ლარისა, მიღებული იქნა მხოლოდ 3195.5 ათასი ლარი, რაც გამოწვეულია იმით, რომ წლის პირველ ნახევარში არახელსაყრელი კლიმატური პირობებით, ასევე ნაწილობრივ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული მიზეზებიდან და ზოგიერთ შემთხვევაში მომწოდებლების მიერ შესრულების ვადების დარღვევიდან გამომდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესის დროებით შეფერხების გამო, დღის წესრიგში არ დამდგარა საკითხი რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში თანხების სრულად გამოყოფასთან დაკავშირებით.

ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტის გადასახდელები განვილილ 6 თვეში პროგნოზირებული იყო 33774.4 ათასი ლარის ოდენობით, საკასო (ფაქტიური) შესრულებაა 26131.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 77.4 %-ს შეადგენს. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით გადასახდელების გეგმა-პროგნოზის შესრულება ხასიათდება უკეთესი შედეგით, კერძოდ 6 თვეში გადასახდელები პროგნოზირებული იყო 24301.4 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 21702.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის მიმართ თითქმის 90 %-ს შეადგენს.

გადასახდელების გეგმა-პროგნოზის მთლიანობაში შეუსრულებლობა განპირობებულია ცალკეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით, პირველ რიგში კი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან კაპიტალური პროექტებისათვის გამოყოფილი ტრანსფერის თანხების სრულად აუთვისებლობით და სხვა გარემოებებით, რომელიც ამ განმარტებითი ბარათის ქვემო ნაწილში კონკრეტულად იქნება ნახსენები.

ძირითადი დარგობრივი სფეროების, პროგრამებისა და მხარჯავი სუბიექტების მიხედვით ბიუჯეტის გადასახდელების 6 თვის შესრულების მაჩვენებლები იძლევა შემდეგ სურათს:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების კუთხით გათვალისწინებული იყო 6491.1 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ შეადგინა 5923.0 ათასი ლარი;
- საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფისათვის პროგნოზირებული 5034.5 ათასი ლარის ნაცვლად გაიხარჯა 4519.2 ათასი ლარი ანუ 515.3 ათასი ლარით ნაკლები;
- საკრებულოს აპარატის შენახვაზე გათვალისწინებული იყო 1006.5 ათასი ლარის გამოყოფა, ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 727.8 ათასი ლარი;
- მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დანიშნულებით, პროგნოზით გათვალისწინებული 4027.9 ათასი ლარისა, გამოიყო 3791.5 ათასი ლარი ანუ 236.4 ათასი ლარით ნაკლები.

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე წლის 6 თვეში გამოიყო 49.0 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის საკუთარი ხარჯების წლიური მოცულობის მხოლოდ 0.11 %-ს პროცენტს შეადგენს.

გამოყოფილი თანხები მიიმართა შემდეგი დანიშნულებით:

- 1650.0 ლარი - ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი მოსახლეობის წყალმომარაგებაში შეფერხებების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ხასიათის ტექნიკური ღონისძიებების დასაფინანსებლად და დევნილთა მიერ 2022 წლის იანვარ-თებერვალში მოხმარებული ელექტორენერჯის დავალიანების თანხის ასანაზღაურებლად;
- 2858.0 ლარი - ქ.ზუგდიდი, სოხუმის ქუჩა N2 - ში მდებარე, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის შენობაში კომპაქტურად ჩასახლებული უმუშევარი და სუსტი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე დევნილების მიერ 2021 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 2022 წლის იანვრის თვეში მოხმარებული ელექტორენერჯის დავალიანების თანხის ასანაზღაურებლად;

- 10000.0 ლარი - უკრაინაში საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების გაწევის მიზნით, ერთჯერადი სახარჯი მასალისა და ჰიგიენური მოვლის საშუალებების შესაძენად;
- 24500.0 ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის გაუმართავი ცენტრალური გათბობის სისტემის რეაბილიტაციის მიზნით ახალი გათბობის ქვაბის შესაძენად;
- 10000.0 ლარი - ქართული კულტურის ცენტრის „GCC- MALTA“ - ს ინიცირებითა და კულტურის განვითარებისა და ხელშეწყობის ევროპული ფონდის (EUFSC) თანადგომით მალტის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად, სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის დასის მგზავრობის ხარჯების ასანაზღაურებლად.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების სფეროში შემავალი (კოდი 01 00) სხვა ძირითადი გადასახდელების გეგმა-პროგნოზის შესრულება (რომელიც წარმოდგენილია მუნიციპალიტეტზე დელეგირებული თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობის, ასევე მგფ-ის და წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა ვალდებულებების სახით) იძლევა შემდეგ სურათს:

თავდაცვისუნარიანობის ამალების ხელშეწყობის სფეროს დაფინანსება, რომელიც მუნიციპალიტეტზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, 6 თვეში პროგნოზირებული იყო 157.4 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მიზნობრივად მოხმარდა წვევამდელთა კონტიგენტის აღრიცხვაზე აყვანის, მიწერის, გაწვევასთან დაკავშირებით ტრანსპორტირებებისა და სხვა ხარჯების ანაზღაურებას.

მუნიციპალიტეტის მიერ მგფ-დან კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად აღებული და წინა წლებში წარმოქმნილი, მუნიციპალიტეტის მიერ გადასახდელი ფინანსური ვალდებულებები (მიმდინარე, საშუალო და გრძელვადიანი სესხები) 6 თვის გეგმის მიხედვით დაფარულია მთლიანად და მან თანხობრივად შეადგინა 1182.6 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული ასიგნების 33 %, ანუ 19365.5 ათასი ლარი მოდის სწორედ ბიუჯეტის აღნიშნულ ფინანსურ სეგმენტზე. მიმდინარე წლის 6 თვეში ამ სფეროს დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გამოიყო და საკასო შესრულებამ შეადგინა 7606.6 ათასი ლარი, გეგმა-პროგნოზი კი განსაზღვრული იყო 13401.9 ათასი ლარის ოდენობით. საკასო მაჩვენებლების მიხედვით ათვისებული თანხებიდან (7606.6 ათასი ლარი) 3348.8 ათასი ლარი გამოიყო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან (რგფ), ხოლო 4257.8 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან.

ინფრასტრუქტურის სფეროში გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული თანხების (ასიგნების) მთლიანობაში ათვისებლობა, ძირითადად მიმართულია იმ გარემოებამ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოსაყოფი კაპიტალური ტრანსფერები და ადგილობრივი ბიუჯეტით დაგეგმილი სახსრები სრულად ვერ იქნა გამოყენებული

(ათვისებული), რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზებით, მათ შორის პროექტების განსახორციელებლად წლის პირველ ნახევარში შექმნილი არახელსაყრელი კლიმატური პირობებით, ცალკეულ შემთხვევებში საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში გამოვლენილი ხარვეზებით, ზოგიერთ შემთხვევაში ტენდერების ორგანიზებაში დაშვებული შეფერხებებით, მომწოდებლების მიერ პროექტების ხელშეკრულებებით დადგენილ ვადებში შეუსრულებლობით, ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების ასანაზღაურებლად სრულყოფილი დოკუმენტაციების დროულად წარმოუდგენლობით. ამასთან საბიუჯეტო სახსრების გარკვეული ნაწილის აუთვისებლობა განაპირობა პროექტების განხორციელების საბოლოო შედეგების მიხედვით თანხობრივად მიღებულმა ეკონომიებმა. აგრეთვე თანხების ათვისებაზე გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა მოვლენებმაც.

უნდა აღინიშნოს, რომ მერიასა და მის შესაბამის სამსახურებს დასახული აქვთ სათანადო პრევენციული ღონისძიებები წლის მეორე ნახევარში მსგავსი მოვლენებით გამოწვეული რისკების მაქსიმალურად შესამცირებლად და ინფრასტრუქტურის სფეროში გეგმა-პროგნოზით განსაზღვრული ფინანსური პარამეტრების შესასრულებლად.

რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერების თანხა ძირითადად მიიმართა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად:

ა) 2907.9 ათასი ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის, მათ შორის:

- 295.9 ათასი ლარი - კახათის, გუგუჩიას ქუჩაზე გზის (მე-III ეტაპი);
- 455.2 ათასი ლარი - ნარაზენის საკალანდიოს უბანში საავტომობილო გზის (მე-II ეტაპი);
- 675.5 ათასი ლარი - ერგეტის ერგეტის ცენტრიდან დიდგვიმარას უბანამდე გზის საფარის (მე-II ეტაპი);
- 380.0 ათასი ლარი - რუხის და ახალბასთუმნის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის;
- 81.3 ათასი ლარი - დიდინეძის ნაკალის უბანში;
- 380.0 ათასი ლარი - ჭკადუაში;
- 81.8 ათასი - ლარი ნაწულუკუს ცენტრალური გზიდან სასაფლაომდე მისასვლელი.
- 332.5 ათასი ლარი - კახათში კოსტავას ქუჩაზე;
- 124.5 ათასი ლარი - განმუხურის ჭავჭავაძის, ც.დადიანის და კ.გამსახურდიას ქუჩების;
- 24.2 ათასი ლარი - ანაკლიის რუსთაველის ქუჩაზე.

ბ) 250.1 ათასი ლარი - წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციისათვის, მათ შორის:

- 110.9 ათასი ლარი - ჭაქვინჯის (ბაღმარანის უბანი) და ნარაზენის (საბეჭვაიოს უბანი) (მე-II ეტაპი);
- 32.7 ათასი ლარი - ჭკადუაშის პაპავეების უბანში (მე-III ეტაპი);
- 102.5 ათასი ლარი - ალერტკარის საკანკაოს უბანში (I და II ეტაპი) ;
- 4.0 ათასი ლარი - ჩხორის.

გ) 12.4 ათასი ლარი - ანაკლიის რუსთაველის ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოებისათვის;

დ) 11.1 ათასი ლარი - ადმინისტრაციული, საცხოვრებელი სახლების და მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად მიიმართა - 167.4 ათასი ლარი.

აგრეთვე, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად თანხები მიიმართა:

- 176.6 ათასი ლარი - საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე;
- 3.4 ათასი ლარი - სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციასა და წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე;
- 945.0 ათასი ლარი - მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე;
- 42.3 ათასი ლარი - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფაზე;
- 55.4 ათასი ლარი - რეგიონული განვითარების ფონდიდან (რფფ) და მუნიციპალური განვითარების ფონდიდან (მფფ) განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებისა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ თანადაფინანსებებზე;
- 5.4 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობასა და შექმნაზე;
- 25.4 ათასი ლარი - სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურებაზე;
- 59.4 ათასი ლარი - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების დაფინანსებაზე;
- 6.6 ათასი ლარი - მიწის საკადასტრო ნახაზების შედგენისა და ქონების შეფასების მომსახურების დაფინანსებაზე.

ინფრასტრუქტურის სფეროში „სამოქალაქო ბიუჯეტით“ და გათვალისწინებულ პროგრამებთან დაკავშირებით, განვლილ 6 თვეში გარკვეული სამუშაოები ჩატარდა, მაგრამ ობიექტები ექსპლოატაციაში არ ყოფილა გადაცემული, ვინაიდან ამ პერიოდში ჩატარებული სამუშაოები მოიცავდა აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად მიკრო და საშუალო საინჟინრო პროექტების, ხარჯთაღრიცხვების, ტენდერების მომზადებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციების, სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შემუშავების პროცესს. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული პროგრამებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტები პრაქტიკულად განხორციელებული იქნება 2022 წლის ბოლომდე.

„კეთილმოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა პროგრამა“ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრის“ მიერ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წლის 6 თვეში გამოიყო ასიგნებანი 2159.9 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სხვადასხვა მიზნობრივი დანიშნულებით, კერძოდ:

1344.8 ათასი ლარი - ძირითადი მოსამსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე, 112.5 ათასი ლარი - შტატგარეშე მუშაკთა სახელფასო ანაზღაურებაზე, 320.7 ათასი ლარი - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება.

არაფინანსური აქტივების ზრდის (ძირითადი აქტივების შეძენა) მუხლით ათვისებულია 182.4 ათასი ლარი, მათ შორის სპეციალური ტექნიკის (ავტოკალათა) შესაძენად გაიხარჯა 153.3 ათასი ლარი, რამაც გარკვეულწილად შეუწყო ხელი ცენტრის ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას.

ცენტრის მიერ, ბიუჯეტიდან ათვისებული სუბსიდიის თანხების გარდა, 6 თვეში მიღებულია საკუთარი სახსრები 31.7 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც გახარჯულია სხვადასხვა მიმდინარე საოპერაციო ხარჯების ასანაზღაურებლად.

კეთილმოწყობის მართვის ცენტრის მიერ, განვლილ 6 თვეში, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებულია ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის რიგი პრაქტიკული და ტექნიკური ღონისძიებები:

ქალაქის ტერიტორიაზე შეკეთდა წყლის სისტემები, რეაბილიტაცია ჩატარდა წყალსაქაჩ ტუმბოებს, ამოიწმინდა ასეულობით მეტრი სანიაღვრე არხები და საკანალიზაციო სისტემები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატურად სრულდებოდა ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი კორპუსების, საბავშვო ბაღების, დადიანების ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის ეზოების, ქ.ზუგდიდის ცენტრალური ბულვარის, სკვერების, პარკების მოთიბვა-მოწესრიგების, მწვანე ხე-მცენარეების გასხვლის და გადაბეღვის, ავარიული და გამხმარი ხეების მოჭრის სამუშაოები. ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნების მიზნით, ცენტრის მიერ განხორციელდა ქ. ზუგდიდის ტერიტორიაზე მწვანე ზოლების, პარკების, გაზონების დაცვის, მწვანე საფარის უსაფრთხოდ შენარჩუნების, ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობის სამუშაოები.

განვლილ 6 თვეში სათანადო ყურადღება ექცეოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, მოწყობის, მოვლა-პატრონობის ღონისძიებების განხორციელებას. ჩატარდა შემოდგომის, ბილიკების მოხრეშვის, მისასვლელი გზების მოწყობის, ტერიტორიის მასშტაბურად დასუფთავების სამუშაოები.

ცენტრის მიერ გაწეული მომსახურებიდან, რომელიც მოიცავს მოქალაქეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას სასაფლაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, 6 თვეში საკუთარი შემოსავლები მიღებულია 25.3 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალური ავტოტრანსპორტი ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მასთან დაკავშირებული საბიუჯეტო პროგრამის განმახორციელებელია შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“. აღნიშნულ სუბიექტს ბიუჯეტიდან 6 თვეში გამოეყო სუბსიდია 945.0 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 1095.0 ათასი ლარი), მიიღო საკუთარი შემოსავალი 760.0 ათასი ლარი და მისმა მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 1705.1 ათასი ლარი, შემოსავლებიდან მიღებული თანხები ძირითადად მიიმართა:

794.1 ათასი ლარი - ძირითადი და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე; 541.4 ათასი ლარი - საწვავი მასალების შეძენაზე; ტრანსპორტის ექსპლოატაციის ხარჯებზე კი - 186.5

ათასი ლარი; 177.7 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებაზე და სხვა დანარჩენი ხარჯების ანაზღაურებაზე.

უნდა აღინიშნოს, განვილილ 6 თვეში გარკვეულწილად უკეთესობისკენ იქნა შეცვლილი მოსახლეობის სამგზავრო მომსახურება; დაწესდა ახალი მარშრუტები, უფრო ფართოდ იქნა მოცული მგზავრთა მომსახურების არეალი. მიმდინარე წელსაც საბიუჯეტო სუბსიდირების ხარჯზე კვლავ უცვლელი დარჩა მგზავრობის შეღავათიანი ღირებულება. სამარშრუტო განრიგებს ყოველდღიურად ემსახურება თანამედროვე მოდელის 15 „ისუზუს“, 18 „ბოგდანის“, 5 „პაზის“ და „მერსედესის“ მარკის ავტობუსები, რითაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შექმნილი აქვს კომფორტული მგზავრობის და კულტურული მომსახურების პირობები, რაც მოსახლეობის დიდ პოზიტიურ განწყობას იწვევს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ზუგდიდის მუნიციპალურ ტრანსპორტს“, როგორც მხარჯავ სუბიექტს, მიმდინარე ეტაპზე შექმნილი აქვს რთული საფინანსო ეკონომიკური მდგომარეობა. ეს ძირითადად გამოწვეულია ენერგეტიკული რესურსების, კერძოდ: ბენზინის, დიზელის საწვავის, საცხებ-საპოხი მასალების საბაზრო ფასების მკვეთრი ზრდით, ავტომანქანების რემონტისა და მომსახურების სხვა სახეების გაძვირებით, გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული, საკუთარი შემოსავლებიდან მისაღები ფულადი თანხების მნიშვნელოვანი დანაკლისით. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული მხარჯავი სუბიექტი დგას იმ რეალობის წინაშე, რომ იგი სავარაუდოდ წლის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში ვერ უზრუნველყოფს გეგმიური, მათ შორის დაცული მუხლების კატეგორიას მიკუთვნებული ხარჯების ანაზღაურებას სუბსიდიის გაზრდის და დამატებითი თანხების გამოყოფის გარეშე.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, პრობლემის მოსაგვარებლად მერია ღებულობს სათანადო ზომებს დამატებითი ფინანსური წყაროების მოძიების, ბიუჯეტის ფარგლებში რეზერვების გამოძებნის და რაციონალური ხარჯვითი ღონისძიებების გატარებისათვის.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

გასული 6 თვის განმავლობაში დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე მიიძარტა 3,607.2 ათასი ლარი, აქედან მნიშვნელოვანი წილი, 2,689.6 ათასი ლარი, მოდის ქალაქისა და 48 ადმინისტრაციული ერთეულის დასუფთავების ღონისძიებებზე.

2022 წლის პირველ ნახევარში მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობიდან, ეკონომიკის სექტორის საწარმოებიდან და საჯარო სივრციდან შეგროვებულ და ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებულ იქნა სულ 11.6 ათასი ტონა მყარი მუნიციპალური ნარჩენი. ყოველდღიურად ნაგავსაყრელში გაიზიდებოდა საშუალოდ 64 ტონა მყარი მუნიციპალური ნარჩენი. სერვისი მიეწოდებოდა ქალაქის მოსახლეობის 100%-ს; 48 სასოფლო - ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის 90%-ს; ეკონომიკის და საჯარო სექტორის 1200 - ობიექტს.

მუნიციპალიტეტში მთლიანად ლიკვიდირებულია სტიქიური ნაგავსაყრელები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქსა და სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულებში ყოველდღიურად საშუალოდ იგვებოდა 50 - 53 ჰექტარი ფართობი, მათ შორის: ქალაქის ტერიტორიაზე 35 - 40 ჰექტარი, სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

კი 9-10 ჰექტარი; დამგველი მანქანით ყოველდღიურად იგვებოდა 18 - 20 ჰექტარი; გარდა ამისა ხელით აკრეფის წესით, სუფთავდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 48 - 49 ჰექტარი; სისტემატიურად იწმინდებოდა ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლის 6 - 7 ჰექტარი.

ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლში, საკურორტო სეზონის მზადების ფარგლებში ივნისის თვეში ჩატარდა ზღვის ამონაყარისაგან გაწმენდის სამუშაოები სანაპირო ზოლის 4 კილომეტრზე.

სისტემატიურად სუფთავდებოდა მდინარეების: ჩხოუმის, კუჩხოზონის და სინწის კალაპოტები და მიმდებარე ტერიტორიები.

წყალმშეფი მანქანით, ქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, ჰაერში მტვერის კონცენტრაციის შემცირების მიზნით, ყოველდღიურად ირწყვებოდა ქალაქის ცენტრალური ნაწილის 10 ძირითადი ქუჩა.

მიმდინარე წლის 6 თვეში მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსურ ხელშეწყობაზე გამოიყო 436.1 ათასი ლარი, აქედან შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 190.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლზე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მინდვრის საფარის მოვლა-პატრონობა; ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ქვიშის ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნების მოფარცხვა-მოწესრიგების სამუშაოები; ჩატარდა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის (დასკვნის) საფუძველზე ჩატარდა ხე-მცენარეების შეწამლვა და ნიადაგის გაჯერება მინერალური სასუქებით; ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის განათების სისტემის რეაბილიტაციას მოხმარდა 144.9 ათასი ლარი.

აღნიშნული სუბიექტის საკუთარი შემოსავლებით დაფინანსდა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიის 3-ჯერადი მოთიბვა; ანაკლია-განმუხურის ბულვარის ქვიშის ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნების, ჩოგბურთის და მინი ფეხბურთის მოედნების კედლების შეღებვა.

ბოტანიკური ბაღების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წლის 6 თვის მიხედვით შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები და განხორციელებულია რიგი ღონისძიებები:

ფინანსური მონაცემები:

ააიპ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მართვის ცენტრის მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით სუბსიდიის სახით მიღებულმა დაფინანსებამ შეადგენდა 460.4 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ძირითადად მიიმართა შრომის ანაზღაურებაზე.

1. 348.1 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურება.
2. 68.3 ათასი ლარი - საქონელი და მომსახურება. აქედან:
3. 44.0 ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გახარჯულ იქნა აღნიშნული თანხით შეძენილ იქნა 1 ერთეული თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანა Ford Transit -42.5 ათასი ლარი და 2 ცალი პლანშეტური კომპიუტერი 1.5 ათასი ლარი.

2022 წელს ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის საკუთარმა შემოსავლებმა მიმდინარე წლის 6 თვეში შეადგინა 74.1 ათასი ლარი მათ შორის:

- 2.3 ათასი ლარი - გრანტი;
- 68.0 ათასი ლარი - ბილეთებისა და აბონიმენტების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი;
- 3.8 ათასი ლარი - იჯარიდან შემოსავალი;

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის ბოტანიკურმა ბაღმა გამოცხადა ელექტრონული აუციონი ადმინისტრაციის შენობაში განთავსებულ კაფეტერიის იჯარის წესიდ გადაცემაზე. გამოვლინდა გამარჯვებული პირი გიორგი ხუფაცარია, წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 64.9 ათასი ლარით(დღგ-ს გათვალისწინებით)

მიღებული საკუთარი შემოსავლებიდან 52.8 ათასი ლარი მიიმართა:

- 48.7 ათასი ლარი - საქონელი და მომსახურება.
- 4.1 ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდაზე.

მიმდინარე წლის 30 ივნისის მდგომარეობით ორგანიზაციის ბოლო 12 უწყვეტი კალენდარული თვის განმავლობაში მიღებულმა შემოსავლებმა გაადაჭარბა 100.0 ათას ლარს, რის გამოც სავალდებულო წესით დარეგისტრირდა დღგ-ს გადამხდელად.

წლის განვლილ პერიოდში ოპტიმალური გარემოს შესაქმნელად დაიჩრდილა ორანჟერია და საგაზაფხულო სამუშაოების ფარგლებში დამუშავდა და განაშენდა 400 მ² მიწის ნაკვეთი. განოყიერდა საბორდიურე ტუების (5800 ძირი) ნიადაგი (მრავალკომპონენტური სუბსტრატის დამატება).

ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის სხვადასხვა ლოკაციაზე პერიოდულად გახორციელდა აგროკალენდარული რიგი ღონისძიებები:

- დაკალმდა 1600-მდე ბუჩა, სხვადასხვა ჯიშის ვარდი და აღმოსავლური ჭადარი;
- დაირგო 6000-ზე მეტი ძირი სხვადასხვა ნერგები, ვარდები, ბალახოვან მცენარეთა ჩითილები.

გარემოს დაცვის სფეროში შემავალი პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამის (კოდი 03 05) კუთხით გასულ 6 თვეში გამოყოფილი ასიგნების საკასო შესრულებამ შეადგინა 5.7 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 10.6 ათასი ლარი). ამ მიმართულებით წლის მეორე ნახევარში აქტიურად გაგრძელდება მუშაობა პროგნოზირებული ასიგნების მთლიანობაში ასათვისებლად.

აგრეთვე გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის და მოსახლეობის მღრღნელებისა და უზედამხედველო, საშიშროების შემცველი მოხეტიალე ცხოველებისგან დაცვის ღონისძიებები (კოდი 03 08). მიმდინარე წლის განვლილ 6 თვეში, აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, ამ ღონისძიებების გასატარებლად ბიუჯეტიდან გამოიყო და ათვისებული იქნა 15.4 ათასი ლარი.

განათლება

მუნიციპალიტეტში 2022 წელს განათლების დარგის დაფინანსებისთვის მთლიანობაში სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრა 9008.1 ათასი ლარით (მათ შორის ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით 7933.8 ათასი ლარი), საკასო შესრულებამ შეადგინა 5435.8 ათასი ლარი. აღნიშნული საბიუჯეტო ასიგნებიდან 3796.0 ათასი ლარი ანუ 69.8%-ი მიიმართა განათლების კუთხით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტის სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე. ამ დარგში 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობა მიზნად ისახავდა ბავშვთა სკოლამდელი განათლების და აღზრდის ხარისხის ამაღლებას, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის და შიდა ინფრასტრუქტურის განვითარებას, აღსაზრდელთა დადგენილი სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღმზრდელ პედაგოგთა და მომსახურეთა შრომისა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა და დამტკიცდა 6500.0 (ექვსი მილიონ ხუთასი ათასი) ლარით. ამჟამად დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 6650.0 ათას ლარს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 62 საბავშვო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი.

ზემოაღნიშნული ცენტრის მიერ 2022 წლის 6 თვეში სუბსიდიის სახით ათვისებული ასიგნების თანხა 3796.0 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად მიიმართა, კერძოდ: 2,806.0 ათასი ლარი მოხმარდა შრომის ანაზღაურებას, 455.0 ათასი ლარი კვების დაფინანსებას, 324.0 ათასი ლარი ოფისის ხარჯების ანაზღაურებას, 53.0 ათასი ლარი შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებას, 7.0 ათასი ლარი სოციალურ უზრუნველყოფას, 4.0 ათასი ლარი ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების, 100.0 ათასი ლარი სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებას, 44.0 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდას.

სუბსიდიის გარკვეული ნაწილი მიიმართა სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშაოებზე და თანხები გაიხარჯა:

ბაღებში სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა N15 და კოკის საბავშვო ბაღებში. N15 ს/ბაღში მოეწყო სააღმზრდელო ჯგუფის ოთახები, ხოლო კოკის ს/ბაღში მოწესრიგდა სველი წერტილები; შესრულებული სამუშაოების საერთო ღირებულებამ შეადგენა - 16.0 ათასი ლარი; ნარაზენის N2 ს/ბაღში ჩატარდა სახურავის რეაბილიტაცია - 8.0 ათასი ლარის ღირებულების. N12 ს/ბაღში გამოიცვალა ცენტრალური გათბობის ქვაბი, რომლის ღირებულებამ შეადგინა - 9.8 ლარი ლარი.

სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად, საბავშვო ბაღების სამზარეულოებში დამონტაჟდა გამწოვი სისტემა და წყლის ელექტრო გამაცხელებლები - 3.7 ათასი ლარის ღირებულების.

სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში ჩატარდა სასწავლო საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები:

- გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის მიერ დაქვემდებარებულ 62 საბავშვო ბაღში ჩატარდა საგაზაფხულო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ზეიმები და ღია აქტივობები. (3 მარტი - დედის დღე, 8 მარტი- ქალთა დღე, „დედაენის დღე“).
- საერთაშორისო ორგანიზაცია UNICEF-ის მხარდაჭერით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის მეთოდისტებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ლექტორის რონა პერტიას მიერ ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე : „ბავშვის უფლებათა კონვენცია“
- საერთაშორისო ასოციაცია „კვიტას გეორგია“-ს მიერ ჩატარდა ვებინარი თემაზე : ა) „ადრეული განათლების მნიშვნელობა“. ბ) „კრიზისული სიტუაციები“. გ) „სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა.“ დ) „ემოცია და მისი როლი ბავშვის ცხოვრებაში.“ ე) „ ალტერნატიული პედაგოგიკა სკოლამდელ განათლებაში.“ ვ) „ ბილინგუური სწავლება „ ზ) „ თამაში - ბავშვის ჰოლისტური განვითარების წამყვანი პროცესი.“ თ) „ინკლუზიური განათლება.“ ი) „ მუსიკალური განათლება ადრეული ასაკიდან.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სააღმზრდელო პერსონალს (აღმზრდელი, შემცველ მასწავლებელი და აღმზრდელის თანაშემწე - 400 თანამშრომელს) სპმ. თავისუფალი პროფკავშირის ინიციატივითა და დაფინანსებით ჩაუტარდა 2 დღიანი ონლაინ სერტიფიცირებული ტრენინგი თემაზე : „რთული ქცევის მართვა და სკოლამდელი ასაკის ბავშვი და ინკლუზია“.
- საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის , სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ინიცირებითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ ჩემი საუკეთესო პრაქტიკა“ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 25 აღმზრდელმა და წარმოადგინა თავისი საუკეთესო პრაქტიკა. კონფერენციამ დადებითი შეფასება მიიღო.

საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებისათვის სარეაბილიტაციო-სარემონტო და სასკოლო შემეცნებით ღონისძიებებზე 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 233.8 ათასი ლარი, 6 თვეში ათვისებულია 53.7 ათასი ლარი.

განხორციელდა საჯარო სკოლების საშუალო და მცირე მასშტაბების სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 45.3 ათასი ლარი. პროექტები განხორციელდა ჭითაწყარის, ოქტომბრის, ტყაიის, ჯუმის, დარჩელის N2, ქალაქის N9 სკოლებში.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულების მიხედვით ზუგდიდის მუნიციპალიტეტს დელეგირების სახით გადაცემული აქვს ზუგდიდის საჯარო სკოლებისა და

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სამგზავრო ტრანსპორტით გადაყვანის მომსახურების პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება. 6 თვეში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურებაზე მიიმართა 1074.3 ათასი ლარი.

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის დასაფინანსებლად 6 თვეში გამოიყო ასიგნება 123.9 ათასი ლარი, გამოყოფილი თანხა მიიმართა შემდეგი დანიშნულებით:

- 93.0 ათასი ლარით დაფინანსდა მერის მიერ დაწესებული სტიპენდიის მიმღები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უმაღლესი სასწავლებლის 70 სტუდენტი;
- უცხოეთში მგზავრობის და ნაწილობრივ სწავლის საფასური დაუფინანსდა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ 11 ახალგაზრდა, რასაც მოხმარდა 18.9 ათასი ლარი;
- 12.0 ათასი ლარით დაფინანსდა 2022 წელს განხორციელებული შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები;

ახალგაზრდობის სკოლისგარეშე სწავლისა და განვითარების პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“. 2022 წელს აღნიშნული პროგრამის დაფინანსებისათვის სუბსიდია გეგმა-პროგნოზით განისაზღვრა 770.0 ათასი ლარი, 6 თვის გეგმა-პროგნოზი 427.4 ათასი ლარი, აქედან ათვისებულია 387.9 ათასი ლარი. გამოყოფილი თანხები ძირითადად მიიმართა: 312.4 ათასი ლარი შრომის ანაზღაურებაზე; 63.4 ათასი ლარი საქონელი და მომსახურებაზე; 27.0 ათასი ლარი საკუთარი შენობა-ნაგებობების დაცვაზე; 12.2 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდაზე, ამასთან 6 თვეში სასახლეს მიღებული აქვს საკუთარი შემოსავლები 17.7 ათასი ლარის ოდენობით და ის მიმართულია სხვადასხვა მიზნობრივი ხარჯების ასანაზღაურებლად.

სასახლის სასწავლო შემოქმედებითი პოტენციალი, როგორც წინა წლებში, ისე 2022 წელსაც აქტიურად იყო მიმართული ფუნქციურად მასზე დაკისრებული პროგრამის განხორციელებაზე, რომლის ფარგლებში მომზადებული და ჩატარებულია მთელი რიგი კულტურული, სასწავლო საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები:

- სასახლის ინტელექტუალურმა ვიქტორინა-კონკურსი "ვიცოდეთ ჩვენი ქალაქის ისტორია" მეორე ეტაპი ჩაატარა. კონკურსში მონაწილეობდნენ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. ვიქტორინა-კონკურსის მიზანია, თანამედროვეობიდან ზუგდიდის წარსულში მოგზაურობა. მოსწავლე-ახალგაზრდებში მშობლიურ ქალაქზე, როგორც სამეგრელოს ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და კულტურული ცენტრის შესახებ ცოდნის ამაღლება, ეთნიკურ-ტრადიციული, კულტურული ფასეულობების პატივისცემა და პოპულარიზაცია. საქართველოს ისტორიაში ზუგდიდის, როგორც მნიშვნელოვანი ქალაქის წარმოჩენა.
- სასახლის ვოკალური ანსამბლ "რეტრო-ს" წევრმა ნანო ხასაიამ კავკასიის რეგიონში (WAPA) საერთაშორისო ონლაინ ფესტივალზე "Stars in New York for peace in Ukraine" მიიღო მონაწილეობა და გახდა I ადგილის მფლობელი.

- სასახლეში, აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა ინტელექტ კლუბის წევრებთან გაიმართა.
- სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი "ყილომტყებამი" თურქეთის რესპუბლიკაში გამართულ ფესტივალში "art&ask" მონაწილეობდა. ფესტივალის კაბადოკიის ქალაქ ავანოსში ჩატარდა, სადაც მუნიციპალიტეტის მერმა ანსამბლი დიპლომითა და საჩუქრით დააჯილდოვა.
- სასახლის ორგანიზებით 6 თვეში ჩატარდა თემატური ღონისძიებები: დედამიწის საერთაშორისო დღის და წიგნის საერთაშორისო დღის საზეიმო აღნიშვნა; სასახლის ინტელექტუალების „რა? სად? როდის?“ თამაშები; ტურნირი „მოაზროვნე“; უმცროსკლასელთა ინტელექტკლუბის თამაში, ინტელექტუალური თამაში „ყველაზე ჭკვიანი“; ცნობილი ზუგდიდელი ხელოვანის რეზო ბულიას სახელობის ხელოვნების ფესტივალი; მასში მონაწილეობდნენ სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლები „თუთარჩელა“ და „ყილომტყებამი“; სასახლის მუსიკალურმა ბენდმა „ზუგდიდი“ და სამეჯლისო სპორტული ცეკვების ანსამბლმა „ეზიდი“, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში გამართეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი; ასევე ბოტანიკურ ბაღში ჩატარდა სასახლის ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბი „სარკმელი“-ს რეგიონალური ლიტერატურული კონკურსი; გაიმართა მუნიციპალიტეტის მერიისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ერთობლივი პროექტის „იცოდე შენი ქვეყნის ისტორია“; სასახლის თანამედროვე ცეკვების სტუდია „Dance Dynasty“ ბათუმში გამართულ VI საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე WONDERLAND 2022 მონაწილეობდა ფესტივალ-კონკურსზე სტუდიამ პირველი ადგილი მოიპოვა.

სასახლის ძალებით გარდა ზემოაღნიშნული ძირითადი ღონისძიებებისა, 6 თვეში ჩატარებულია სხვა თემატურ-მიზნობრივი მნიშვნელობის მხატვრული, საგანმანათლებლო, შემეცნებით-ინტელექტუალური და სხვა სახის 50-მდე ღონისძიება.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად 2022 საბიუჯეტო წლის განვლილ 6 თვეში გამოიყო 2,058.1 ათასი ლარი, რომელიც კონკრეტული პროგრამების მიხედვით მიიმართა, აქედან: ა(ა)იპ „სპორტის განვითარების ცენტრის“ დასაფინანსებლად გამოიყო 473.8 ათასი ლარი, რომელიც ხარჯების ძირითადი მუხლების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: შრომის ანაზღაურებაზე 321.0 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 152.8 ათასი ლარი, მათ შორის სპორტულ ღონისძიებაზე 5.1 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებისთვის - 30.1 ათასი ლარი, მივლინების ხარჯებისთვის 7.1 ათასი ლარი, კვებაზე გაიხარჯა - 23.7 ათასი ლარი, სატრანსპორტო მომსახურებასა და საწვავზე 7.4 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 50-მდე საერთაშორისო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ სპორტის 15-მდე სახეობის ტურნირში, მათ შორის: ძიუდო, სამბო, თ/ჭიდაობა, ჭადრაკი, რაგბი, მძლეოსნობა, კრივი, ხელბურთი, ძალოსნობა, კალათბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, ქვიშის ფრენბურთი, კუდო, კიკ-ბოქსინგი, კარატე.

სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩემპიონი და პრიზიორი გახდა 150-მდე სპორტსმენი, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი სახის მიღწევები:

- მექსიკაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ძალოსნობაში მე-2 ადგილის მფლობელი გახდა ნიკოლოზ ესართია;
- ხორვატიაში ჩატარებულ 22 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე კრივში მე-2 ადგილის მფლობელი გახდა ლექსო ხასაია;
- ბულგარეთში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის კრივში მე-2 ადგილის მფლობელი გახდა თათია ბუკია, მე-3 ადგილი კი დაიკავეს თამარ სამელიამ და გოჩა გორდუღავამ;
- ალბანეთში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე დიდებს შორის ძალოსნობაში მე-2 ადგილის მფლობელი გახდა გიორგი ჩხეიძე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამისთვის გათვალისწინებული იყო 217.2 ათასი ლარი, აქედან ათვისებულ იქნა 100.2 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა: ახალგაზრდული პროექტების დაფინანსებისთვის; თემატური ბანაკების ორგანიზებისთვის; საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებისთვის; ახალგაზრდული სივრცის მოწყობისთვის; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ, სსმ და სოციალურად დაუცველი სპორტსმენებისთვის შესაძლოდ ადაპტირებული პირობების შექმნის მიზნით, ერთჯერად ფინანსური დახმარების გასაწევად; სკაუტების კლუბ „სამეგრელო“-ს სამოყვარულო ფეხბურთის და გუნდი „მეგრე“-ს სპორტულ-გასართობი ღონისძიებების ორგანიზებისთვის; ამპუტანტი ფეხბურთელების გუნდი „ოდიში“-ს ფინანსური ხელშეწყობისთვის; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტის პოპულარიზებისა და ადგილობრივი სპორტსმენების ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით, სპორტსმენთა სამივლინებო ხარჯების ასანაზღაურებლად; 2022 წლის წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელებისთვის ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გასაცემად.

მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის კულტურის დარგით მნიშვნელოვანია ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს მიერ.

მ/წელს აღნიშნული პროგრამის განხორციელებაზე ბიუჯეტით გათვალისწინებული 1,200.0 ათასი ლარიდან 6 თვეში საკასო შესრულებამ შეადგინა 515.4 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი თანხა 473.3 ათასი ლარი მიმართულია შემოქმედებით მუშაკთა - ანსამბლების და წრეებში მონაწილეთა და დასაქმებულთა, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე. ხოლო დანარჩენი თანხა საკუთარ შემოსავლებთან ერთად მიმართულია საქონლისა და მომსახურების სხვადასხვა საჭიროებებზე.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის პროფილი მრავალდარგოვანია და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს მოიცავს. მათ შორის მნიშვნელოვანია ქართული ფოლკლორის, თეატრალური ხელოვნების, მუსიკალური და ქორეოგრაფიული, ადგილობრივი მუზეუმების, სამხატვრო და გამოყენებითი ხელოვნების და სხვა მიმართულებები.

მ/წლის 6 თვეში ცენტრის მიერ განხორციელდა 15-ზე მეტი მნიშვნელოვანი ღონისძიება როგორც საქართველოს ფარგლებს გარეთ, ისე საქართველოს სხვა რეგიონებსა და თვით მუნიციპალიტეტში.

გამორჩეულად უნდა აღინიშნოს რამოდენიმე მათგანი. მათ შორის:

- ბელგიის ქალაქ გენტში ტექსტილის მუზეუმში სამხატვრო გალერეის მხატვრის, ელენე ფიფიას, ნამუშევრების გამოფენა ერთ თვემდე, სადაც გამოფენილი იყო ქსოვილით და ძაფებით არატრადიციული ტექნიკით შექმნილი 30-მდე ფერწერული ნამუშევარი, რომლებმაც დამთვალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.
- ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“ მოწვევით იმყოფებოდა ლიეტუვას რესპუბლიკის ქალაქ იონავაში საგუნდო ქორეოგრაფიული ანსამბლების ფესტივალზე, კონცერტები სრული ანშლავით მიმდინარეობდა. ფესტივალის შემდგომ იონავას მერმა „ოდოია“-ს ყველა წევრს გადასცა ფესტივალის ლაურეატის დიპლომი, მადლობის ბარათი და სამახსოვრო საჩუქრები. დაიგეგმა გაცვლითი პროგრამები.
- ხელოვნებისა და ტურიზმის ცენტრის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფესტივალში „ART-კოლხი“ მონაწილეობდნენ ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები: „ჩელა“, „ცისკარი“ და „ოდოია“;
- აღსანიშნავია თურქეთში მოღვაწე მთარგმნელი ერდოღან სენსლის სტუმრობა ცენტრის მუზეუმების განყოფილებაში, რომელმაც თურქულად თარგმნა კონდრატე თათარაშვილის უკვდავი მოთხრობა „მამლუქი“. წიგნი მან საჩუქრად გადმოსცა მუზეუმს.

არა ერთი ღირსშესანიშნავი ღონისძიება ჩატარდა მუნიციპალიტეტში:

ჩხორიის სამოყვარულო თეატრმა მაყურებელს წარუდგინა ლაშა თაბუკაშვილის „შენსკენ სავალი გზები“.

სამხატვრო გალერეაში მოეწყო გამოფენები: დედის და ქალთა დღესთან დაკავშირებით, სააღდგომო თემატიკაზე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. აგრეთვე ჩატარდა ზუგდიდელ მხატვართა გამოფენა; მუნიციპალიტეტში გაიმართა ანსამბლ ოდოიას აუდიოდისკის პრეზენტაცია, საქართველოს ფოლკლორის ცენტრის წარმომადგენლების მონაწილეობით, მათი გადაწყვეტილებით „ოდოია“ სოლო კონცერტს გამართავს საქართველოს ფოლკლორის ცენტრის საკონცერტო დარბაზში.

ზემოხსენებული და რიგი ღონისძიებები მიუთითებს ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივის პროფესიულ სახელოვნებო შესაძლებლობებზე.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამის განხორციელებაზე 6 თვეში გაიხარჯა 9.7 ათასი ლარი.

თანხები გამოიყო ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსებაზე, როგორცაა:

- 9.0 ათასი ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტების პოპულარიზების მიზნით სამეცნიერო ნაშრომის, წიგნი „ერგეტა“ (სამაროვნები) გამოსაცემად;

- 0.7 ათასი ლარი - მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ვიქტორინა კონკურსების: „ვიცნობდეთ ჩვენი ქალაქის ისტორიას“ და „ნორჩი მკვლევარის“ ფინალურ ტურში გასული მონაწილეებისათვის სასაჩუქრე წიგნების შეძენისათვის.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის დაფინანსებისთვის 2022 წლის 6 თვეში 339.6 ათასი ლარი გამოიყო. აღნიშნული თანხიდან 323.2 ათასი ლარი შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა.

ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი წარმოადგენს საინფორმაციო და საგანმანათლებლო ცენტრს მუნიციპალიტეტში, მასში შეძვალა ცენტრალური ბიბლიოთეკა სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან და ამერიკულ კუთხესთან ერთად ეწეოდა მოსახლეობის წიგნითა და ინფორმაციით უზრუნველყოფის მომსახურებას. 2022 წლის პირველ ექვს თვეში დაინერგა სიახლეები ახალგაზრდობასთან ურთიერთობის კუთხით, რომელმაც საზოგადოების მოწონება დაიმსახურა და გაზარდა ბიბლიოთეკების მართვის ცენტრში შეძვალა ბიბლიოთეკებში მკითხველთა/მომხმარებელთა რაოდენობა.

2022 წლის პირველ ნახევარში ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის სტრუქტურები მოემსახურნენ - 4688 მკითხველს/მომხმარებელს, მათზე გაიცა -18026 ცალი წიგნი და ინფორმაცია, მკითხველთა/მომხმარებელთა/დამსწრეთა რაოდენობამ შეადგინა - 34002.

წიგნის შესყიდვა პირველ ორ კვარტალში არ იყო დაგეგმილი, ამასთან ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრს საჩუქრად გადმოეცა - 279 წიგნის ეგზემპლარი 1142 ლარის ღირებულებით.

განახლდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის ვებგვერდი - www.zugdidilib.ge. ვებგვერდი შეიცავს ინფორმაციას ბიბლიოთეკის სტრუქტურის, რესურსების, მომსახურებისა და სიახლეების შესახებ. ცენტრალურ ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი, რომლის საშუალებითაც მკითხველს სახლიდან შეუძლია დაადგინოს ამა თუ იმ წიგნის შესახებ ინფორმაცია და დაჯავშნოს ის.

ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის მიერ ჩატარდა და განხორციელდა მთელი რიგი შემეცნებითი ღონისძიებები, როგორცაა:

- ზუგდიდის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის ამერიკულ კუთხეში ახალგაზრდებისთვის იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორის ანიგრეტ პლონტკე-ლუნინგის საჯარო ლექცია ჩატარდა; ლექცია ლესალეს არქეოლოგიურ მემკვიდრეობას და არქეოლოგიაში ევროპულ გამოცდილებას მიეძღვნა;
- ლიტერატურულ სადამოზე - „ქართული მწიგნობარი ქალები“ - წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ქალების ლიტერატურული და მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობა. აღინიშნა მარიამ დადიანის, ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას, ეკატერინე გაბაშვილის, ელენე დარიანისა და ანა კალანდაძის ღვაწლი ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში;
- 30 მარტს შედგა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია, რომელიც 2019 წლის სამეცნიერო კონფერენციის

მასალებს მოიცავს. წიგნი ეძღვნება ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან მე-80 წლისთავს;

- ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკის მკითხველთა დასი ახალი ამპლუით წარსდგა და მინი-სპექტაკლი - „დრო“ წარმოადგინა, რომელშიც მთავარი გმირის როლი აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ახალგაზრდამ შეასრულა;
- ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა მოხუცთა თავშესაფარი მოინახულეს, „ჩემი მორდუს“ ხანდაზმულები გაეცნენ რუხის ბიბლიოთეკა-ფილიალში დაცულ უახლეს ლიტერატურასა და ყოველდღიურ ჟურნალ-გაზეთებს;
- ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა კოტე ჭილაიას საჯარო ლექცია თემაზე - ოდა სახლები ზუგდიდში. პარალელურად ბიბლიოთეკის ფოიეში ფოტოგამოფენა მოეწყო, რომელზეც წარმოდგენილი იყო XIX საუკუნის ოდა სახლები ზუგდიდში;
- 26 მაისს საქართველოს პირველი რესპუბლიკის საბიბლიოთეკო ტური მოეწყო, ზუგდიდის ბიბლიოთეკამ 1918- 1921 წლების საბიბლიოთეკო ცხოვრება გაცოცხლა;
- 1 ივნისს ჩატარდა გამოფენა, სადაც ცენტრალური ბიბლიოთეკის, საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალების მკითხველთა ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. გამოფენის მონაწილე ბავშვებმა ისაუბრეს ამ დღის მნიშვნელობაზე, მათ უფლებებზე და ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი სურვილები. ზუგდიდელმა ბავშვებმა თავიანთი ნამუშევრებით მხარდაჭერა გამოხატეს უკრაინელი ბავშვების მიმართ;
- ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებული საბიბლიოთეკო ლაშქრობა წიგნის მოყვარული ახალგაზრდების ჯგუფ B612-თან ერთად მოეწყო.
- ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ლაზური საღამო გაიმართა. ისტორიის დოქტორმა, ბატონმა ბაკურ გოგობიამ, ლაზების წარმომავლობაზე, ლაზური კულტურის გავრცელების არეალზე, ლაზურ გვარ-სახელებსა და ისტორიული ლაზეთის თანამედროვეობაზე ისაუბრა;

ზემოაღნიშნულის გარდა 40-მდე სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის ამერიკული კუთხისა და საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკა - ფილიალების ორგანიზებით.

მერიის ძალებით ორგანიზებული კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისთვის 6 თვეში გახარჯულია 33.9 ათასი ლარი. აქედან, აღნიშნული თანხები მიიმართა შემდეგი სახის ღონისძიებებზე:

- “მარტის თვეა შენი“- დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული ღონისძიება, სხვადასხვა სფეროს დამსახურებული ქალბატონების მოწვევა მერიაში და მათი დაჯილდოება;
- „აფხაზეთობა“ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაცურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის ჩვენება;
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხას“ ხელმძღვანელის ემირ ნადარეიშვილის ვარსკვლავის გახსნა.

ტელერედიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის პროგრამისთვის 6 თვეში გახარჯულია 9.9 ათასი ლარი.

2022 წელს სახელოვნებო სკოლების გაერთიანებას ბიუჯეტიდან სუბსიდია გამოეყო 689.0 ათასი ლარი, 6 თვის მონაცემებით ათვისებულია 326.1 ათასი ლარი. გამოყოფილი თანხები მოხმარდა: 265.8 ათასი ლარი ძირითად მომსახურეთა და შემოქმედებით პედაგოგიური საქმიანობით დაკავებული მუშაკების შრომის ანაზღაურებას; 55.6 ათასი ლარი შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებას; სახელოვნებო სკოლების გაერთიანების საკუთარი შემოსავლები შეადგენს 78.0 ათას ლარს, აქედან გახარჯულია 39.8 ათასი ლარი რომელიც მიმართულია სხვადასხვა მიზნობრივი ხარჯების ასანაზღაურებლად.

2022 წლის პირველ ნახევარში სახელოვნებო სკოლებისა და ადმინისტრაციის მიერ ინიცირებულია და ჩატარებულია სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები:

- ქალაქ სენაკში გამართულ „ხელოვნების ფესტივალი-2022“-ზე წარსდგნენ N1, N2 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლების საფორტეპიანო და საორკესტრო მიმართულების მოსწავლეები. ფესტივალზე ჩატარდა სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების მოსმენა-დათვალიერება კომპეტენტური ჟიურის წინაშე. აღსაზრდელები დაჯილდოვდნენ საპატიო დიპლომებით, ხოლო N1 სამუსიკო სკოლის საორკესტრო მიმართულების მოსწავლეს საბა ლემონჯავას მიენიჭა ლაურეატის წოდება და გახდა მსოფლიო დონის პიანისტის-ვალერიან შიუკაშვილის სტიპენდიანტი, საგუნდო-სამუსიკო სკოლის აღსაზრდელი ქეთევან გერლიანი კი დაჯილდოვდა ლაურეატის წოდებით.
- დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ნიკოსეულ სასახლეში შეიქმნა კლიპი N1 სამუსიკო სკოლის საორკესტრო მიმართულების აღსაზრდელებისა და კონცერტმესტერ იზოლდა ხარგელიას მონაწილეობით.
- ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღესთან დაკავშირებით, „სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში“ შემავალ N1 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საფორტეპიანო და საორკესტრო მიმართულების მოსწავლეების გაერთიანებული კონცერტი. სამხატვრო გალერეაში კი გამოიფინა სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრები.
- ქობულეთში „საქართველოს ეროვნული ფილარმონია“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო ფესტივალი „ჰარირა“. ფესტივალში წლებია აქტიურად მონაწილეობენ „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების“ შემოქმედებითი ჯგუფები. ამჯერადაც, ფოლკლორული ანსამბლები „ლილე“ და „ოდაბადე“ წარმტებით წარსდგნენ მაცურებლის წინაშე. შემოქმედებითი ჯგუფი „ოდაბადე“ გახდა გრან-პრის მფლობელი, ხოლო ანსამბლ „ლილეს“ წევრებს გადაეცათ მედლები და საპატიო დიპლომები.

სახელოვნებო სკოლების ძალებით გარდა ზემოაღნიშნული ძირითადი ღონისძიებებისა, 6 თვეში ჩატარებულია სხვა თემატურ-მიზნობრივი მნიშვნელობის მხატვრული, სასწავლო-საგანმანათლებლო 30-მდე ღონისძიება.

ცხენოსნობის, როგორც სპორტის ეროვნული სახეობის პოპულარიზების მიზნით: ადგილობრივი საცხენოსნო კლუბის („ხარება“) სპორტული ზრდისა და საცხენოსნო სპორტის განვითარებისთვის საჭირო პირობების უზრუნველსაყოფად (კოდი 0503) გაიხარჯა 40.0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-თან არსებული ბავშვთა სპორტსკოლის ფინანსური ხელშეწყობისათვის, 6 თვეში ბიუჯეტიდან გაიხარჯა 209.5 ათასი ლარი. ა(ა)იპ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდში 1919“ ასპარეზობს ეროვნულ ლიგა 4 -ში. ამავე დროს კლუბში ირიცხება 250-მდე მოზარდი. წლის დასაწყისიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა ვარჯიშები და გაიმართა ოფიციალური მატჩები. სკოლის გუნდები მონაწილეობდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ასაკობრივ შეჯიბრებებში.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული პრიორიტეტია და ბიუჯეტში მას მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უკავია.

2022 წლის განვლილ 6 თვეში ბიუჯეტიდან ჯანდაცვის და სოციალური პროგრამებისათვის პროგნოზირებული იყო 1873.7 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ შეადგინა 1500.5 ათასი ლარი. პროგნოზირებული თანხის აუთვისებლობა განაპირობა იმან, რომ სოციალური სახლების მშენებლობის პროგრამის ფარგლებში მიმართული თანხები სრული მოცულობით ვერ იქნა გახარჯული, რაც თავის მხრივ გამოიწვია სხვადასხვა მიზეზით ტენდერების გამოცხადებასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარების პროცესში მომხდარმა შეფერხებებმა.

ბიუჯეტიდან 6 თვეში გამოყოფილი ასიგნებანი, ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს მიკუთვნებული პროგრამებისა და ღონისძიებების მიხედვით, მიმართული იქნა შემდეგი სახით:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებაზე დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ, 2022 წლის 6 თვეში ათვისებული იქნა 172.2 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნულმა ცენტრმა წლის პირველ ნახევარში, კომპეტენციის ფარგლებში განახორციელა შემდეგი მნიშვნელოვანი სამუშაოები და ღონისძიებები:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზი) დარეგისტრირებული იქნა ინფექციური დაავადებების 1584 შემთხვევა. მათ შორის ტუბერკულოზზე საექვო 87 შემთხვევა, რომელთა შორის აქტიური ტუბერკულოზი მგბ(+) დაუდასტურდა 16-ს, მგბ(-) 10-ს, ტუბერკულოზის ინფექციის კერებში 63 კონტაქტირებულ პირს ჩაუტარდა სკრინინგული კვლევა, დამყარდა მეთვალყურეობა აქტიური ტუბერკულოზის გამოვლენის მიზნით.

დაფიქსირდა ცხოველების მიერ დაკბენის და დადორბვლის 1119 შეტყობინება, რომელზეც დაენიშნათ ანტირაბიული მკურნალობა. ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა 290 პირს, პირობითი 821 პირს. შეწყვიტა მკურნალობა ცხოველთა იდენტიფიცირების გამო 122-მა პირმა.

„დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებაში ხორციელდება ორსულთა გამოკვლევა „ბ“ ჰეპატიტის, აივ-ინფექციას, სიფილისსა და ც ჰეპატიტზე, სულ ამ პერიოდის განმავლობაში გამოკვლეულია 387 ორსული. ტესტირებით „ბ“ ჰეპატიტზე დადებითი გამოვლინდა 2 შემთხვევაში, რომელთა ბიოლოგიური მასალა კომფირმაციული კვლევისთვის გადაგზავნილ იქნა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში. („ბ“ ჰეპატიტზე სიფილისზე -0, აივ-ინფექციაზე -0 და ც ჰეპატიტზე -0.)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-60/ნ „პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესების და

საჭირო საადრინესო-საანგარიშგებო ფორმების შესრულების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად, ჩატარდა 34 მონიტორინგი წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 29 საექიმო ამბულატორიაში და 3 სამედიცინო დაწესებულებაში .

Covid-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დაგეგმვისა და იმუნიზაციის მართვის წესების დამტკიცების შესახებ №01/11 ბრძანების შესაბამისად სს „ვექსის ჰოსპიტლები ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში“ შპს „ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის რუხის ფილიალში“, სს „ვექსის კლინიკების - ზუგდიდის პოლიკლინიკაში“, შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკაში“, ააიპ „ზუგდიდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 01.01.2022 წლიდან 31.06.2022 წლამდე ჩატარდა 10856 COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (მ.შ ს.ჯ.ც 4 563).

ზუგდიდის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 5745 გეგმიური აცრა. ბჭუ ვაქცინაცია ჩატარდა 316 ახალშობილს; ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო 322-ს, იმუნიზაცია ჰექსაქცინით (6 ვალენტური ვაქცინა 6 დაავადების საწინააღმდეგო) ჩატარდა 1192 აცრა, ტეტრაქსიმით (18 თვ:5 წლის ასაკში)-823, წითელა-წითურა-ყბაყურის საწ. 1,2 დოზით აიცრა 854 ბავშვი, როტა 1,2 დოზით-604 , პნევმოკოკი-1137, ტდ ვაქცინით 216, აპვ ვაქცინით-281 .

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ცენტრში 2022 წლის 6 თვის პერიოდში მიღებულ იქნა 1438.0 ათასი ლარის და გაცემულ იქნა 1234.3 ათასი ლარის ვაქცინები, სტრატეგიული შრატები, სწრაფი მარტივი ტესტები სახარჯი მასალით.

ჩატარებულ იქნა მონიტორინგი 70 სახელმწიფო და 17 კერძო საბავშვო ბაღში. მონიტორინგის დროს საბავშვო ბ/ბაღში გამოვლენილი დარღვევების შესახებ, ეცნობა ა.(ა).ი.პ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს შესაბამისი ზომების მისაღებად.

თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციისა ფარგლებში აღნიშნულ პერიოდში ჩატარდა 298 მონიტორინგი სხვადასხვა მიმართულებით: სასწავლო დაწესებულებაში - 31; სამედიცინო დაწესებულებაში - 35; სახელმწიფო სტრუქტურაში- 13; კაფე/რესტორანში - 28; სასტუმროში -15; კინო/თეატრში 5; სილამაზის სალონში -19; მედია ორგანიზაციაში - 6; სავაჭრო ობიექტებში - 111; ტრანსპორტში - 29; გარე რეკლამა-6. მონიტორინგი ხორციელდება დამტკიცებული კითხვარის და მეთოდოლოგიის შესაბამისად.

C- ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში ოჯახის ექიმების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ჯამურად სკრინინგი ჩატარდა 2771 ბენეფიციარს, მათ შორის C- ჰეპატიტზე დადებითია 10.

ცენტრის პარაზიტოლოგიური სამსახურის მიერ პარაზიტულ დაავადებებზე ლაბორატორიულად კვლევა ჩატარდა ქალაქის და სოფლის სახელმწიფო ბაღების 1828 აღსაზრდელს, ამ აღსაზრდელს შორის ინვაზირებული აღმოჩნდა 74 აღსაზრდელი. დაინვაზირება შეადგენს გამოკვლეულთა 7,3%.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულების „კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, 2022 წლის 6 თვის განმავლობაში ცენტრის მიერ ტესტირება ჩატარებულ იქნა 99 725 პირზე, ამ პერიოდში გამოვლინდა 5 609 კოვიდინფიცირებული პირი, რომლებზეც დამყარდა აქტიური ზედამხედველობა და წარმოებდა კონტაქტირებული პირების დადგენა იზოლაციური ღონისძიებების შეფარდების და დიაგნოსტიკის მიზნით. მ.შ გარდაიცვალა 42 პირი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ის მიერ მუნიციპალური პროგრამის 06 01 01 კოდით შესრულდა 172.2 ათასი ლარის, მუნიციპალური პროგრამის 06 01 02 კოდით 5.8 ათასი ლარის, ხოლო საკუთარი სახსრებით (იგულისხმება ცენტრალიზებული დაფინანსება) 600.0 ათასი ლარის სამუშაოები.

საკასო შესრულების მიხედვით, სოციალური და ჯანდაცვის სფეროს მიკუთვნებული მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში 5 214 ბენეფიციარის დახმარებასა და სერვისებზე ათვისებულია 1 322.5 ათასი ლარი.

სოციალური დაცვის პროგრამით 3276 ბენეფიციარის სოციალურ დახმარებასა და სერვისებზე ათვისებულია 736.0 ათასი ლარი. ჩატარებულია სოციალური საკითხების შემსწავლელი კომისიის 6 სხდომა, რომლებზეც განხილულ იქნა, კომისიურ გადაწყვეტილებას დაქვემდებარებული ასობით მოქალაქის საკითხი. შემოსული განცხადებების შესაბამისად, რეგულარულად ხდება მოსახლეობასთან კომისიური გასვლები. ასევე, შეუფერხებლად ხორციელდება მარტოხელა და მარტომცხოვრები მოქალაქეებისთვის შინმოვლის სერვისის მიწოდება, ხოლო 15 მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა სხვადასხვა უწყებაში.

დაფინანსების თანხა პროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

87.8 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამაზე, რომლითაც საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 280 ბენეფიციარმა;

18.1 ათასი ლარი - ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, ისარგებლა 22 ბენეფიციარმა, კერძოდ, თანხები გაიხარჯა:

- 0.6 ათასი ლარი - განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი 1 ვეტერანის მომვლელობაზე (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით).
- 1.6 ათასი ლარი - მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ადგილობრივ და დევნილ 2 ვეტერანის პენსიაზე დანამატის სახით (ყოველთვიურად თითოეულს 200 ლარის ოდენობით).
- 10.8 ათასი ლარი - ააიპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირის“ ფინანსური უზრუნველყოფისთვის.
- 2.1 ათასი ლარი - გარდაცვლილი ომის მონაწილის 7 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით (თითოეულს 300 ლარის ოდენობით).
- 2.7 ათასი ლარი - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, ომის ვეტერანთან გათანაბრებულ 11 პირის ფინანსური მხარდაჭერისთვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით) და მე-2 მსოფლიო ომის 1 მონაწილის ფინანსური დახმარება 500 ლარი
- 0.3 ათასი ლარი - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით და 8 აგვისტოს დაღუპულთა მემორიალების შესამკობი თაიგულებისთვის.

57.3 ათასი ლარი - ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 219 ბენეფიციარმა, კერძოდ, თანხები მიიღარა :

- 19.1 ათასი ლარი - 73 მარტოხელა მშობლის დასახმარებლად (ყოველთვიურად თითოეულს 50 ლარის ოდენობით).

- 1.8 ათასი ლარი - დედ-მამით ობოლი 3 ბავშვის დასახმარებლად (ყოველთვიურად თითოეულს 100 ლარის ოდენობით).
- 4.5 ათასი ლარი - ოჯახში ძალადობის მსხვერპლი 12 ბენეფიციარის დასახმარებლად (თითოეულს 100-800 ლარამდე).
- 28.6 ათასი ლარი - 122 მრავალშვილიანი ოჯახის დასახმარებლად (თითოეულს 200-500 ლარის ოდენობით).
- 0.8 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი 4 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა პირველი-მეორე შვილის შეძენასთან დაკავშირებით (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).
- 2.5 ათასი ლარი - 5 ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა ტყუპის შეძენასთან დაკავშირებით (თითოეულ ოჯახს 500 ლარი).
- გენდერული თანასწორობის საკითხებზე შემუშავებულია გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ლოკალიზაციის სქემა, ხორციელდება გენდერულ ჭრილში სტატისტიკა, ჩამოყალიბდა მოხალისეთა ჯგუფი, 8 მარტიდან ფუნქციონირება დაიწყო „ქალთა ოთახის“ სივრცემ, რომელიც ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების კუთხით მუშაობს. 4 თვის მანძილზე 100 ზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა, რომელთაც გაეწიათ კონსულტაცია სხვადასხვა მიმართულებით: საგრანტო პროექტები, საგრანტო განაცხადების შევსება, დასაქმება, პროფესიული გადამზადება, რეფერირება შესაბამის უწყებებთან და სხვა. ასევე, ქალთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სარებილიტაციო კრიზისული ცენტრის სერვისის მართვის (მომსახურებაზე) შესყიდვაზე მიმდინარეობს ორგანიზაციულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება ტენდერის გამოსაცხადებლად.

124.3 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 604 ბენეფიციარმა, აღნიშნული თანხა მიიმართა::

- 27.0 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობისა და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე 135 ბავშვისათვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).
- 28.5 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 298 პირის კომუნალური გადასახედებისთვის (თითოეულს 25-25 ლარი ოთხი თვის განმავლობაში).
- 3.8 ათასი ლარი - სმენა და მხედველობადაქვეითებული 31 პირის კომუნალური გადასახადებისთვის (თითოეულს 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში).
- 65.0 ათასი ლარი - 140 ზრუნვის განსაკუთრებული საჭიროების მქონე შშმ პირისა და ხანდაზმულის მომვლელისათვის (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით).

48.2 ათასი ლარი - მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, ისარგებლა 241 ბენეფიციარმა, (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).

11.2 ათასი ლარი - ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამაზე, ისარგებლა 144 ბენეფიციარმა, თანხა კონკრეტულად გაიხარჯა:

- ათასი ლარი - 100 წელს გადაცილებულ 8 ბენეფიციარისთვის (თითოეულს 500 ლარის ოდენობით).
- 7.2 ათასი ლარი - 36 სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი პირის ოჯახის დასახმარებლად (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).

44.4 ათასი ლარი - სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამაზე, თანხა გახარჯულია აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახების, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულებისა და უკიდურესად შეჭირვებული ბენეფიციარების სასაჩუქრე პაკეტისათვის (500 ბენეფიციარი).

36.4 ათასი ლარი - ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამაზე, ისარგებლა 102 ბენეფიციარმა, კერძოდ :

- 31.1 ათასი ლარი - ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული 72 ბენეფიციარის ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის (ყოველთვიურად თითოეულს 50-100 ლარის ოდენობით).
- 4.2 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი 21 სტუდენტის ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).
- 1.1 ათასი ლარი - სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწირო პროგრამა-დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ჩართული 9 შშმ ბავშვის თანხმლებ პირთა ტრანსპორტირების თანადაფინანსებისთვის.

92.4 ათასი ლარი - სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამაზე. ისარგებლა 137 ბენეფიციარმა, თანხა კონკრეტულად მიიღარათა :

- 60.1 ათასი ლარი - 113 ბენეფიციარის ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის (ყოველთვიურად თითოეულს 100 ლარის ოდენობით).
- 19.5 ათასი ლარი - ხანძრის შედეგად დაზარალებულ 8 ოჯახზე (თითოეულს 3 000 ლარის ფარგლებში).
- 3.0 ათასი ლარი - მეწყერის შედეგად დაზარალებულ 6 ოჯახზე (თითოეულს 500 ლარის ოდენობით).
- 9.8 ათასი ლარი - სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ 12 ოჯახზე (თითოეულს 3 000 ლარის ფარგლებში).

22.3 ათასი ლარი - დევნილთა მხარდაჭერის პროგრამაზე, ისარგებლა 223 ბენეფიციარმა, (თითოეულს 100 ლარის ოდენობით).

145.8 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამაზე. ისარგებლა 790 ბენეფიციარმა, კერძოდ, აღნიშნული თანხა მიიღარათა:

- 47.0 ათასი ლარი - 513 სოც. დაუცველი ოჯახის კომუნალური გადასახადებისთვის, (თითოეულს 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში).

- 95.6 ათასი ლარი - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ 269 ოჯახის ფინანსური დახმარებისთვის (თითოეულს 100- 500 ლარის ფარგლებში).
- 3.2 ათასი ლარი - სოც. დაუცველი 8 ოჯახის გაზიფიცირებისთვის.

სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა - საანგარიშო პერიოდში დაფინანსების მოთხოვნით შემოსული არცერთი პროექტი არ დაფინანსდა.

1.1 ათასი ლარი - პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“

- 1.1 ათასი ლარი -სოციალური საცხოვრისში ჩასახლებული 14 ოჯახის კომუნალური ხარჯების ასანაზღაურებლად (იანვარი, თებერვალი, მარტის თვეებში თითოეულს 25-25 ლარის ოდენობით).
- სოციალურ საცხოვრისთან არსებული ხანდაზმულთა დღის ცენტრის სერვისის მართვის შესყიდვაზე გამოცხადებულია ტენდერი.

46.7 ათასი ლარი - უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა - 2021 წელს დაწყებული სამუშაოებისთვის; 2022 წლის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და ერთი თბილი ოთახის მოწყობაზე, „ერთი თბილი ოთახის“ ხარჯთაღრიცხვები მომზადების ბოლო ეტაპზეა. მიმდინარეობს ორგანიზაციულ-ტექნიკური სამუშაოები. ტენდერით გამოვლენილია გამარჯვებული საცხოვრებელი სახლების ტიპიური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისი ტერიტორიებისადმი მიზმა-მისადაგებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ჩატარებულია მერიის შესაბამისი კომისიის 27 სხდომა. საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შუამდგომლობა გაეწია 341 მოქალაქეს.

სამედიცინო დახმარების პროგრამის ფარგლებში, 1900 ბენეფიციარის სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების საკასო შესრულებამ 6 თვეში შეადგინა 575.8 ათასი ლარი. თანხები მიიმართა შემდეგი დანიშნულებით:

- 48.7 ათასი ლარი - ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია) თანადაფინანსებაზე (ისარგებლა 201 მოქალაქემ);
- 7.0 ათასი ლარი - PET/კტ კვლევის თანადაფინანსებაზე (ისარგებლა 7 მოქალაქემ);
- 117.0 ათასი ლარი - სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსებაზე (ისარგებლა 169 მოქალაქემ);

- 138.0 ათასი ლარი - ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსებაზე (ისარგებლა 822 მოქალაქემ);
- 150.9 ათასი ლარი - აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 0-18 წლამდე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამაზე (ჩართულია 85 ბავშვი);
- 26.5 ათასი ლარი - სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება/თანადაფინანსებაზე (ისარგებლა 71 ბავშვმა);
- 1.4 ათასი ლარი - 18 წლის და მეტი ასაკის შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსებაზე (ისარგებლა 4 მოქალაქემ);
- 21.2 ათასი ლარი - იშვიათი დაავადებების (ცელიაკია/ფენილკეტონურია/მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრუნველყოფაზე (ჩართულია 12 მოქალაქე);
- 9.7 ათასი ლარი - ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამაზე (ისარგებლა 263 მოქალაქემ);
- 0.4 ათასი ლარი - განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებების თანადაფინანსებაზე (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსება (ისარგებლა 2 მოქალაქემ);
- 3,4 ათასი ლარი - ბინაზე მყოფი პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებების და სხვა თანხით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაზე (ჩართულია 6 მოქალაქე);
- 51.6 ათასი ლარი - ძვირადღირებული თერაპიის (ქიმიო, სხივური, რადიო, ტარგენტული ან სხვა) საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამაზე (ისარგებლა 258 მოქალაქემ).

საანგარიშო პერიოდში, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 38 ბავშვის დახმარებებსა და სერვისებზე გაიხარჯა 10.7 ათასი ლარი. დაფინანსების თანხები მიიმართა:

- 4.2 ათასი ლარი - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამაზე -060301(ისარგებლა 30 ბენეფიციარმა -10 ოჯახი);
- 1.4 ათასი ლარი - ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამაზე-060303;
- 5.1 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი წრეების დაფინანსების ქვეპროგრამაზე-060304 (ისარგებლა 8 ბენეფიციარმა).

- კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსებაზე მომართვიანობა განვილილ 6 თვეში არ ყოფილა და შესაბამისად თანხაც არ გახარჯულა.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების სინთეზური პარამეტრები, გადასახდელების ნაწილში იძლევა შემდეგ სურათს:

- შრომის ანაზღაურება - 3576.7 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 2925.9 ათასი ლარი;
- პროცენტი - 780.8;
- სუბსიდია - 12758.0 ათასი ლარი;
- გრანტი - 17.4 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 1243.0 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 381.4 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 4067.3 ათასი ლარი;
- ვალდებულებების კლება - 380.7 ათასი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის 2022 წლის გასულ 6 თვეში საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფა ხდებოდა დამტკიცებული (დაზუსტებული) ბიუჯეტის ფარგლებში, რომელიც გამოიყენებოდა გეგმაზომიერად და იხარჯებოდა მიზნობრივი დანიშნულებით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბალანსი

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის 6 თვის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
a შემოსავლები	51,873.9	7,730.0	44,143.9	30,196.9	4,346.5	25,850.4
a გადასახადები	38,132.8	0.0	38,132.8	21,873.5	0.0	21,873.5
a გრანტები	8,120.0	7,730.0	390.0	5,520.2	4,346.5	1,173.7
a სხვა შემოსავლები	5,621.1	0.0	5,621.1	2,803.2	0.0	2,803.2
b						
a ხარჯები	42,786.5	1,145.7	41,640.8	21,683.2	1,049.3	20,633.9
a შრომის ანაზღაურება	7,049.1	0.0	7,049.1	3,576.7	0.0	3,576.7
a საქონელი და მომსახურება	5,308.5	1,038.2	4,270.3	2,925.9	1,038.2	1,887.7
a პროცენტი	1,150.0	0.0	1,150.0	780.8	0.0	780.8
a სუბსიდიები	23,372.0	0.0	23,372.0	12,758.0	0.0	12,758.0
a გრანტები	54.0	0.0	54.0	17.4	0.0	17.4
a სოციალური უზრუნველყოფა	3,261.7	0.0	3,261.7	1,243.0	0.0	1,243.0
a სხვა ხარჯები	2,591.2	107.5	2,483.7	381.4	11.1	370.3
b						
a საოპერაციო სალდო	9,087.4	6,584.3	2,503.1	8,513.7	3,297.2	5,216.5
b						
a არაფინანსური აქტივების ცვლილება	10,835.9	7,934.2	2,901.7	3,922.5	3,379.5	543.0
a ზრდა	13,892.0	7,934.2	5,957.8	4,067.3	3,379.5	687.8
a კლება	3,056.1	0.0	3,056.1	144.8	0.0	144.8
b						
a მთლიანი სალდო	-1,748.5	-1,349.9	-398.6	4,591.2	-82.3	4,673.5
a ფინანსური აქტივების ცვლილება	-3,468.5	-1,349.9	-2,118.6	4,210.5	-82.3	4,292.8
a ზრდა	0.0	0.0	0.0	4,292.8	0.0	4,292.8
a ვალუტა და დეპოზიტები	0.0			4,292.8	0.0	4,292.8
b ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
b სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
b აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
b სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
b წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
b სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის 6 თვის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
a კლება	3,468.5	1,349.9	2,118.6	82.3	82.3	0.0
a ვალუტა და დეპოზიტები	3,468.5	1,349.9	2,118.6	82.3	82.3	
b ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
b სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
a აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
b სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
b წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
b სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
a ვალდებულებების ცვლილება	-1,720.0	0.0	-1,720.0	-380.7	0.0	-380.7
b ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
b საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
b საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
a კლება	1,720.0	0.0	1,720.0	380.7	0.0	380.7
b საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
a საშინაო	1,720.0	0.0	1,720.0	380.7	0.0	380.7
b						
a ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
a წინა წელს გამოუყენებელი თანხის დაბრუნება	143.600	143.600		143.600	143.600	
a ნაშთი წლის დასაწყისისათვის	3,612.100	1,493.500	2,118.600	3,612.100	1,493.500	2,118.600
a ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	0.000	0.000	0.000	7,679.000	1,267.600	6,411.400
a ნაშთის ცვლილება	-3468.5	-1349.9	-2118.6	4210.5	-82.3	4292.8

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოსულობები

დასახელება	კოდი	2022 წლის გეგმა			2022 წლის 6 თვის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები		54,930.0	7,730.0	47,200.0	30,341.7	4,346.5	25,995.2
შემოსავლები	1	51,873.9	7,730.0	44,143.9	30,196.9	4,346.5	25,850.4
არაფინანსური აქტივების კლება	31	3,056.1	0.0	3,056.1	144.8	0.0	144.8
ფინანსური აქტივების კლება	32	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
შემოსავლები	1	51,873.9	7,730.0	44,143.9	30,196.9	4,346.5	25,850.4
გადასახადები	11	38,132.8	0.0	38,132.8	21,873.5	0.0	21,873.5
დღგ		30,432.8		30,432.8	15,605.1		15,605.1
ქონების გადასახადი	113	7,700.0	0.0	7,700.0	6,268.4	0.0	6,268.4
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	6,040.0		6,040.0	6,150.4		6,150.4
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	180.0		180.0	-48.3		-48.3
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	30.0	0.0	30.0	24.5	0.0	24.5
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	30.0		30.0	0.0		
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132	0.0			24.5		24.5
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	350.0	0.0	350.0	91.3	0.0	91.3
ფიზიკურ პირებიდან	1131141	200.0		200.0	80.7		80.7
იურიდიულ პირებიდან	1131142	150.0		150.0	10.6		10.6
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	1,100.0	0.0	1,100.0	50.5	0.0	50.5
ფიზიკურ პირებიდან	1131151	100.0		100.0	30.5		30.5
იურიდიულ პირებიდან	1131152	1,000.0		1,000.0	20.0		20.0
გრანტები	13	8,120.0	7,730.0	390.0	5,520.2	4,346.5	1,173.7
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	131	0.0			-21.3		-21.3
სხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	133	8,120.0	7,730.0	390.0	5,541.5	4,346.5	1,195.0
მიმდინარე	1331	1,302.5	912.5	390.0	2,346.0	1,151.0	1,195.0

დასახელება	კოდი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1331112	1,302.5	912.5	390.0	1,346.0	1,151.0	195.0
სპეციალური ტრანსფერი	1331113	0.0			1,000.0		1,000.0
კაპიტალური	1332	6,817.5	6,817.5	0.0	3,195.5	3,195.5	0.0
კაპიტალური ტრანსფერი (რ. გ. ფ.)		5,869.5	5,869.5		3,195.5	3,195.5	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		948.0	948.0		0.0		
სხვა შემოსავლები	14	5,621.1	0.0	5,621.1	2,803.2	0.0	2,803.2
შემოსავლები საკუთრებიდან	141	1,200.0	0.0	1,200.0	252.8	0.0	252.8
პროცენტები	1411	400.0		400.0	52.1		52.1
რენტა	1415	800.0	0.0	800.0	200.7	0.0	200.7
მოსაკრებელი ზუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	600.0		600.0	102.2		102.2
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	200.0		200.0	98.5		98.5
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	2,665.1	0.0	2,665.1	1,770.2	0.0	1,770.2
administraciuli mosakreblebi da gadasaxdelebi	1422	2,465.1	0.0	2,465.1	1,717.0	0.0	1,717.0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	314.1		314.1	113.3		113.3
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	1.0		1.0	0.4		0.4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	14213	1,500.0		1,500.0	1,340.4		1,340.4
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	650.0		650.0	262.5		262.5
სახელმწიფო ბაჟი	14227	0.0			0.0		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი		0.0			0.0		
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		0.0			0.4		0.4
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	200.0	0.0	200.0	53.2	0.0	53.2
შემოსავალი შენობების და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14232	200.0		200.0	53.2		53.2
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	1,576.0	0.0	1,576.0	752.2	0.0	752.2
საგზაო მოძრაობის დარღვევის გამო	143171	1,000.0		1,000.0	615.4		615.4

დასახელება	კოდი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები ჯარიმებიდან და საურავებიდან მმართველობის წესის ხელმოფი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	1431103	300.0		300.0	50.9		50.9
შემოსავლები სხვა დანარჩენი ჯარიმებიდან	14399	276.0		276.0	85.9		85.9
ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	144	180.0	0.0	180.0	28.0	0.0	28.0
შემოსავალი ხელშეკრულების პირობის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო	14412994	180.0		180.0	25.4		25.4
სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები	144129999	0.0			2.6		2.6
არაფინანსური აქტივების კლება	31	3,056.1	0.0	3,056.1	144.8	0.0	144.8
ძირითადი აქტივები	311	0.0			0.0		
არასაცხოვრებელი შენობები	313	2,556.1		2,556.1	47.0		47.0
არაწარმოებული აქტივები	314	500.0	0.0	500.0	97.8	0.0	97.8
მიწა	3141	500.0		500.0	97.8		97.8
ფინანსური აქტივების კლება	32	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	321	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	3215	0.0			0.0		

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გადასახდელები							
org. kodი	დასახელება	2022 წლის გეგმა			2022 წლის 6 თვის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	58,398.5	9,079.9	49,318.6	26,131.2	4,428.8	21,702.4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	322.0	0.0	322.0	322.0	0.0	322.0
	ხარჯები	42,786.5	1,145.7	41,640.8	21,683.2	1,049.3	20,633.9
	შრომის ანაზღაურება	7,049.1	0.0	7,049.1	3,576.7	0.0	3,576.7
	საქონელი და მომსახურება	5,308.5	1,038.2	4,270.3	2,925.9	1,038.2	1,887.7
	პროცენტი	1,150.0	0.0	1,150.0	780.8	0.0	780.8
	სუბსიდიები	23,372.0	0.0	23,372.0	12,758.0	0.0	12,758.0
	გრანტები	54.0	0.0	54.0	17.4	0.0	17.4
	სოციალური უზრუნველყოფა	3,261.7	0.0	3,261.7	1,243.0	0.0	1,243.0
	სხვა ხარჯები	2,591.2	107.5	2,483.7	381.4	11.1	370.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	13,892.0	7,934.2	5,957.8	4,067.3	3,379.5	687.8
	ძირითადი აქტივები	13,892.0	7,934.2	5,957.8	4,067.3	3,379.5	687.8
	ვალდებულებების კლება	1,720.0	0.0	1,720.0	380.7	0.0	380.7
	საშინაო	1,720.0	0.0	1,720.0	380.7	0.0	380.7
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	13,384.0	0.0	13,384.0	5,923.0	0.0	5,923.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	322.0	0.0	322.0	322.0	0.0	322.0
	ხარჯები	11,217.2	0.0	11,217.2	5,517.3	0.0	5,517.3
	შრომის ანაზღაურება	7,049.1	0.0	7,049.1	3,576.7	0.0	3,576.7
	საქონელი და მომსახურება	2,258.1	0.0	2,258.1	1,069.1	0.0	1,069.1
	პროცენტი	1,150.0	0.0	1,150.0	780.8	0.0	780.8
	გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	220.0	0.0	220.0	24.9	0.0	24.9
	სხვა ხარჯები	540.0	0.0	540.0	65.8	0.0	65.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	446.8	0.0	446.8	25.0	0.0	25.0
	ძირითადი აქტივები	446.8	0.0	446.8	25.0	0.0	25.0
	ვალდებულებების კლება	1,720.0	0.0	1,720.0	380.7	0.0	380.7
	საშინაო	1,720.0	0.0	1,720.0	380.7	0.0	380.7
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	9,470.9	0.0	9,470.9	4,519.3	0.0	4,519.3
